პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 მარტი ხუთშაბათი 1973 წელი 2 ქაღ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 51 (15568)

ხუთწლედი — ვადამდე!

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ!

● თბილისის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს საწარმოები კულტსაყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების 300 დასახელების ნაწარმს უშვებენ.

● მარტო იანვარში გამოუშვებულია 28 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

● აკამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა.

● დროულად შევიტანოთ ნიადაგში ორგანული და მინერალური სასუქები ლოზების მიხედვით.

ᲕᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („კომუნისტის“ კორ.). მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს (უფროსი გ. ყანჩაველი) სისტემის საწარმოები ჩაებნენ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შრომა უფრო გონივრულად მოაწყეს, განამტკიცეს დისციპლინა და პირველი წარმატება უკვე მოიპოვეს. პროდუქციის რეალიზაციის იანვრის დავალება 100,9 პროცენტით შესრულეს, გეგმის გადამტკიცებით მომმხარებელს 25 ათასი მანეთის პროდუქცია მიჰყიდეს. საერთო პროდუქციის გამოშვების დავალებას 28 ათასი მანეთით გადააჭარბეს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ტემპი 20 პროცენტით გაიზარდა.

პროდუქციის მატება ძირითადად მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. მარტო იანვარში გეგმასთან შედარებით ამ მაჩვენებლის ზრდამ 1,8 პროცენტი შეადგინა. საწარმოებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას. სარკოტკაეთ-საგალანტერიო ფაბრიკაში გადაკეთდა სამღებრო კაპარატი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ამაღლდა ქსოვილის ღებვის ხარისხი; სინთეტიკისა და პლასტმასის ნაწარმის ფაბრიკაში კაპრონის ქსოვილის ნაწიბურები შეიცვალა თავისივე ფონით. ამავე საწარმოში დაიდგა ორი ჰიდრავლური წნები, № 4 მექანიკურ ქარხანაში დამონტაჟდა სპეციალური დანადგარი ნახევარმილიმეტრიანი ფოლადის მავთულის მაქმზე ბადასხვევად; მრავალდგოვან სამრეწველო კომბინატში მომზადდა ერთი მილიონი მანეთის სამკერვალო ნაწარმის გამოსაშვები უბანი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკით.

აღსანიშნავია, რომ სამმართველოს სისტემის ყველა საწარმომ საერთო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის იანვრის დავალება გადაჭარბებით შესრულა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი № 2 მექანიკური ქარხნის (დირექტორი ლ. ოქიოლაური), საგალანტერიო-სატრიკოტაჟო ფაბრიკის (დირექტორი ო. ცანავა) და საწარმოო გაერთიანება „სიხარულის“ (დირექტორი ი. არაქელოვი) კოლექტივებმა. სამმართველოს სისტემის საწარმოები ამჟამად უშვებენ 300-მდე დასახელების კულტსაყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების ნაწარმს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და შრომის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან № 2 მექანიკური ქარხნის მტვიფრავები თ. ბიბილური და ვ. პავლოვი, ზეინკალი გ. კარაევი, საგალანტერიო-სატრიკოტაჟო ფაბრიკის მქსოველები ხ. გაფრინდაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ქ. რომაშკინა და ქვეოსტატი თ. ჯღამაძე, ქარხანა „თბილისფლმანქანის“ ამწყობი ზეინკალი ვ. ტაბელიაშვილი, საწარმოო გაერთიანება „სიხარულის“ მწნეხავი ა. ქართველიშვილი, ზეინკალი ნ. გაცენკო, ჩამოსხმელი ხ. გაბიზაშვილი და ოსტატი ე. მელიქსეტიანი, სინთეტიკისა და პლასტმასის ნაწარმის ფაბრიკის მკერავი ე. თევდორაშვილი, ზეინკალი ლ. მესხიშვილი, ოსტატი ნ. მარტინენკო.

საწარმოთა კოლექტივებმა შრომის ტემპი კიდევ უფრო გააძლიერეს, წინასწარი მონაცემებით თებერვლის ოცი დღის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული.

300 ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ

ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲐ

ᲖᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲐᲑᲠᲨᲣᲛᲘᲡ ფაბრიკის კოლექტივმა გასული წლის გეგმა შესანიშნავი მაჩვენებლებით დაამთავრა. რეალიზებულია 352 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. მათ პირობა დადეს მეცხრე ხუთწლედის შესამე, გადამწყვეტ წელს უფრო მაღალ წარმატებებს მიაღწიონ. გუგული მურვანიძე საწარმოში ერთი წლის წინ კომკავშრომული საგზურით მოვიდა. იგი მალე დაეუფლა მრთველის პროფესიას. ამჟამად გუგული მურვანიძე საწარმოს ერთ-ერთი მოწინავე მრთველია. გეგმას 130-140 პროცენტით ასრულებს. სურათზე: მოწინავე მრთველი კომკავშირელი გ. მურვანიძე.

ი. ნანეიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის საამწყობო საამქროში კარგად იცნობენ მოწინავე მემონტაჟეს კომკავშირელ ოთარ კასრაძეს. ბრიგადა, რომელშიც ო. კასრაძე მუშაობს, დაბალი ძაბვის ბლოკებს ამონტაჟებს. მისი ნახელავი გამოირჩევა დიდი სიზუსტით და მაღალი ხარისხით. მოწინავე მემონტაჟის, კომკავშირელ ო. კასრაძის პორტრეტი ამშვენებს საამქროს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა საპატიო დაფას.

ხ. კილაძის ფოტო.

ᲕᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲑᲣᲨᲘᲜ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მასალები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა, რომელმაც განიხილა სკკპ XXIV ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს კომუნისტური პარტიის პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი ხრულყოფის ამოცანები. ორი დღის განმავლობაში პლენუმის მონაწილენი საქმიანად და პრინციპულად განიხილავდნენ მეტად დიდმნიშვნელოვან და სახიფათოსლო პრობლემებს, ღრმა ანალიზს უკეთებდნენ იმას, თუ რა გაკეთდა დღემდე საქართველოში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რა ხარვეზები და ნაკლოვანებანი ამუხრუჭებენ ჩვენს წინსვლას, რა კონკრეტული საკითხების გადაჭრისათვის უნდა წარვართოთ დღეს მთელი ჩვენი აურადღება, უნარი, ცოდნა და გამოცდილება.

პარტიისათვის, ხალხისათვის ამჟამად არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები, ვიდრე ისინი, რომლებიც წამოყენებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში და სსრ კავშირს შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში. პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის მოვალეობაც სწორედ ის არის, რომ უზრუნველყონ ამ ამოცანების დროული ხორცშესხმა, ცხოვრებაში მათი განუხრელი გატარება, სათავეში ჩაუდგნენ ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლას, რასაც ჭეშმარიტად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მთელი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.

უკანასკნელ ხანს ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, განახორციელეს მეტად გაბედული და კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია მეურნეობის ძირითადი დარგების — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ, ამ დარგების ხელმძღვანელობაში დაშვებული ხერხოზული შეცდომებისა და დამახინჯებათა აღკვეთისაკენ. განხორციელდა ბევრი სხვა ღონისძიებაც, რომელთა მიზანია ადამიანთა აქტიურობისა და ინიციატივის ამაღლება, სოციალისტური შეჯიბრების დიდი ქმედითობა, ნაკლოვანებათა დროული გამომზეურება და გმოსწორება, პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცება, კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება.

პლენუმი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ საღად შეაფასა რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება, აიღო მეტად სწორი, ლენინური კურსი — გაბედულად გამოავლინოს ნაკლოვანებანი, რაც შთავარი გარანტიაა ცხოვრების ბევრ სფეროში არსებული ჩამორჩენის აღმოფხვრის კომპლექსური, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის შემუშავებისათვის.

როგორც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების რიტმი და მაჯისცემა ადასტურებს და ეს პლენუმზეც აღინიშნა, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა გასწიეს.

მაგრამ პლენუმის მთელ მუშაობას წითელ ზოლად გასდევდა ნაკლოვანებათა შეურიგებელი კრიტიკა, შემოქმედებითი ძიება იმ გზებისა და საშუალებებისა, რომლებშაც უნდა ამრაღლოს შრომითი კოლექტივების წარმატებანი, ხუთწლედის ეს მესამე წელი გადააჭიროს ნამდვილად გადამწყვეტ წელიწადად.

აი რატომ არის საკვირო, რომ კი არ გავაზვიადოთ მიღწეული, არამედ უპირველეს ყოვლისა აურადღება დავუთმოთ მრავალ გადაუჭრელ პრობლემას, გაბედულად და შეუპოვრად ვებრძოლოთ ნაკლს. დახავსებულობასა და რუტინას. უპასუხისმგებლობასა და დანაშაულს, არასახელმწიფოებრივ და არაპარტიულ გამოვლინებებს. ყოველივე ამან კი ჩვენთან, სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში თავიისუფლად მოიკიდა ფეხი.

რესპუბლიკის პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების ღრმა ანალიზი თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ თუ დროულად და საფუძვლიანად არ აღმოიფხვრა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი, ისე დიდ წარმატებებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამოცანა ის არის, რომ არა მარტო შევასრულოთ 1973 წლის გეგმა, არამედ მნიშვნელოვნად გადავჭარბოთ კიდეც, რადგან უნდა აღმოიფხვრას მეცხრე ხუთწლედის პირველ წლებში მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით გამოვლინებული ჩამორჩენა. ერთი სიტყვით, დაკარგულიც უნდა ანაზღაურდეს.

განა საგანგაშო არ არის, რომ ხუთწლედის მეორე წელს საქართველოს 157 სარეწველო საწარმოს ვერ შეასრულა გეგმა და ქვეყანას დააკლო ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია?! ჩამორჩენილ კოლექტივებს შორის არიან თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის საწარმოები. ბევრგან დაბალია პროდუქციის ხარისხი, დიდია სამუშაო დღის დანაკარგები, ნელა ითვისებენ საწარმოო სიმძლავრეებს, შეუწყნარებლად ჩამორჩება სანთნო მშენებლობა, დიდი ნაკლოვანებანია კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის მუშაობაში.

მრავალი ნაკლი და დამახინჯება გამოვლინდა სოფლის მეურნეობაშიც, შარშან განსაკუთრებით ჩამორჩნენ მეკარტოფილეები და მებოსტნეები, ბევრი საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის მეცხოველეები.

პლენუმზე საფუძვლიანი და გაბედული კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო მეურნეობის მთელი რიგ დარგებში მომუშავე კომუნისტების მისამართით.

და როცა ყოველივე ამას ხალი თვალით ვიფასებთ, როცა მთელი კომუნისტური შეგნებით და ღრმა პარტიული განსჯით ვუდგებით საქმეს, ყველა ნაკლისა თუ დანაშაულის მიზეზები ერთ ფოკუსში იყრის თავს — ეს არის სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი, რასაც უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა ჩვენს რესპუბლიკაში.

პლენუმმა საქართველოს თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის, თვითეული რაიკომის, საქალაქო და საოლქო კომიტეტის აურადღება მიაქცია სწორედ იმას, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში აღნიშნული ყველა უარყოფითი მოვლენა აიხსნება პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესუსტებით.

როგორ გარდაჭმნათ, როგორ ავამაღლოთ და გავაუმჯობესოთ ეს მუშაობა?

პლენუმმა ამ კითხვაზე ნათელი და ზუსტი პასუხი გასცა და დასახა ღონისძიებანი, რომ მთლიანად აღვადგინოთ და შემოქმედებითად გამოვიყენოთ მუშაობის ლენინური პრინციპები და ნორმები, სტილი და მეთოდები, რომლებიც უახლოეს წარსულში ზოგჯერ ირღვეოდა. საჭირო და აუცილებელია რომ პარტიული მოღვაწეობის პრაქტიკაში უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ პარტიული მშენებლობის მეცნიერების უახლესი მიღწევები, ჭეშმარიტ პარტიული ორგანიზაციების მოწინავე გამოცდილება.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲐᲠᲘᲡ

მნიშვნელოვანი ეტაპი

დღეს იწყება კარტიული დოკუმენტების გამოცვლა

ავტომაღლებთ პასუხისმგებლობას

ისტორ დიდი პოლიტიკური კამპანიის მაღალ დონეზე მოწყობა, რომელიც პარტიული დოკუმენტების გამოცვლაა, იმთავითვე ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების პირველი საზრუნავი გახდა. უწინარეს ყოვლისა დიდი ყურადღება მიეაქციეთ საარჩევნო დოკუმენტების წესრიგში მოყვანას. პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადების საკითხი განხილულ იქნა საქარხნო პარტიული ორგანიზაციისა და საამქროთა (ჩვენთან ასეთი ექვსია) პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, მოსმენილ იქნა კომუნისტთა ანგარიშები. როგორც პარტიულის, ისე საამქროთა პარტიული ორგანიზაციების ბიუროების წევრებმა მოვაწყეთ პერსონალური საუბრები იმ კომუნისტებთან, რომლებიც ნაკლებად აქტიურობდნენ, ჯეროვნად არ მონაწილეობდნენ პარტიულ მუშაობაში. კრებაზე ვიმსჯელეთ და კომუნისტებს ვ. ვოროგბიანს, მ. ტიგორევს, თ. ანანოვს მოვუსვენით საყვედურები.

ჩვენთან საწარმოში, რომელიც მეტად ზუსტ ხელსაწყოებს — ელმავლის ჩქარმოზომებს, ლაბორატორიულ ხელსაწყოებსა და მიკროგამტარის სხვადასხვა ნაწილებს ამზადებს, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მასში თითქმის 800 კაცია ჩაბმული, მათგან 100 კომუნისტი, რომლებიც განაწილებული არიან წარმოების იმ ძირითად უბნებზე, სადაც მატერიალური ფასეულობანი იქმნება. ისინი კოლექტივის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა, დასახულ ამოცანათა შესრულების ავანგარდში არიან.

დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადების დღეებში საგრძნობლად ამაღლდა კომუნისტთა პირადი პასუხისმგებლობა და აქტივობა.

კომუნისტები მხესხვი ა. ასათიანი, ამწყობრ ზეინლელები დ. ბოგიავა, ი. მაჩხვევი და სხვები შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან, გაადვილებენ ასრულებენ გეგმებს და მათი ნამუშევარიც მაღალი ხარისხით გამოირჩევა. სწორედ შრომითი პათოსის ამაღლების შედეგია, რომ ქარხანამ იანვარში გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. დავალებები შესრულდა თებერვალშიც.

კომუნისტები ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ შეკინარჩუნოთ ის შრომითი ამაღლებული პათოსი, რომელიც პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადების დღეებში სუფევს ჩვენს შრომითს კოლექტივში.

ვ. როგაძიძე,
ქარხანა „თბილხელსაწყოს“ პარტიიოროს მდივანი.

ასე შეეუღგებით

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კომუნისტები დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან პარტიული დოკუმენტების გამოცვლას.

ამ მხრივ მთელი საწარმოდისი მუშაობა წარიმართა წინასწარ შემუშავებული გეგმით. მოეწყო საამქროთა და განყოფილებათა პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პარტჯგუფორგანიზატორების თმობირ-სემინარები, პარტიული კომიტეტის სხდომაზე ორჯერ ვიმსჯელეთ პარტიული დოკუმენტების გამოცვლასთან დაკავშირებით პარტორგანიზაციების მოსამზადებელ მუშაობაზე. მოვისმინეთ № 2 საწარმოს „პარტბიუროს“, აგრეთვე საარჩევნო სექტორის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. მოეწყო ლექციები და მოხსენებანი პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დიდ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მნიშვნელობაზე. ამას წინათ ძრავის საამქროში მოეწყო პარტიული კრება, რომელიც მიეძღვნა საკითხს „ჩვენი პარტიული ბილეთი“.

ამ და სხვა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული საქმიანობა, კომუნისტთა ავანგარდული როლი წარმოებაში, გაძლიერდა ბრძოლა სასეფლმწიფო და პარტიული დისციპლინის განმტკიცებისათვის, ადამიანთა შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოსაფხვრელად.

შარშან სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მუსამე და მეოთხე კვარტალებს შედეგების მიხედვით ჩვენი ქარხნის კოლექტივმა პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

კარგად დავიწყეთ ახალი ხუთწლედის გადამწყვეტი — მესამე წელი. იანვარში პროდუქციის რეალიზაციის დავალება 102 პროცენტით, ხოლო თებერვალში 103,5 პროცენტით შესრულდა.

დღეს იწყება პარტიული დოკუმენტების გამოცვლა, რომელიც ჩვენთან დამთავრდება ნოემბრის ბოლოს. შედგენილი გვაქვს გრაფიკი, დოკუმენტების გამოცვლა იწყრმოებს ყოველი კვირის ოთხშაბათსა და პარასკევს. ყველ საარჩევნო ბიროთში ჩანაწერების სისწორის შესამოწმებლად და მათ პარტიულ ბილეთთან შესადარებლად, აგრეთვე გასაუბრების მოსაწყობად და სხვა ღონისძიებებისათვის პარტიული დოკუმენტების გამოცვლის პერიოდში გათვალისწინებულია მოვაწყოთ პარტიული კომიტეტის მდივნებისა და პარტკომის წევრთა მორიგეობა.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ეს ღონისძიება ჩვენთან მაღალ იდეურ დონეზე მოეწყოს.

გ. კუხალეიშვილი,
ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ინიციატივა გაერცელდა

რიონ აღნიშნავენ ჩვენი ქარხნის კომუნისტები უდიდესი პოლიტიკური კამპანიის — პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დაწყებას? უპირველეს ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ ქარხნის კოლექტივმა თავი დაალწია სანარძლივ ჩამორჩენას და იანვარ-თებერვალში შეძლო სასაქონლო პროდუქციის სახელმწიფო გეგმების შესრულება.

ლოზუნგი არასასარბიელო მდგომარეობიდან გამოსვლისა და მოწინავე საწარმოთა რიგებში ჩადგომის შესახებ სწორედ პარტიული დოკუმენტების გამოცვლის მზადების დღეებში წამოიჭრა. მემარტენეებმა კომუნისტ ვ. მეტრველის ინიციატივით ფაროდ გააჩაღეს ლაშქრობა ყოველი მესამე ნაღნობის ჩქაროსნულად წარმოებისათვის. ამას კარგი შედეგი მოაქვს. კომუნისტები მ. სპანდარაშვილი, ბ. ჩემია, გ. ბერეკაშვილი და სხვები ახლა თითქმის ყველა ნადნობს მართლაც ჩქაროსნულად ახორციელებენ და საკმაო გადაჭარბებით ასრულებენ დღიურ დავალებებს.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლის მზადების დღეებში კიდევ ერთი ინიციატივა დაიბადა. მილსაგლინავ საამქროს მეალეცავს, კომუნისტმა ვ. გერიტაშვილმა წინადადება წამოაყენა კვირაში საშუალოდ ერთი საათი იმუშაონ ეკონომიის შედეგად გაწეული ნედლეულით. ამ ინიციატივამ სწრაფად ჰპოვა მხარდაჭერა ქარხნის სხვა საამქროში, ცვლებსა და ბრიგადებში.

მეტალურგიული ქარხნის პარტიული ორგანიზაცია საათანადოდ მოეზადა პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის. ეს საქმე რომ კარგად მოგვეწყო, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნებისათვის, პარტიული ჯგუფორგანიზატორებისათვის, ქარხნის პარტიული აქტივისათვის ბრაერთ-ხელ ჩავატარეთ სემინარები, თათბირები, პარტიული კრებები.

დღეისათვის უკვე საკმაოდ მზად ვართ ორგანიზებულად შევიტანოთ პარტიული დოკუმენტების გამოცვლას, მაღალი აქტივობით ჩავატაროთ ეს პოლიტიკური კამპანია.

დ. ბარათაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.

ეზაღ ეართ

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცხოვრებაში დღეს დაიწყო დიდმნიშვნელოვანი ეტაპი — პარტიული დოკუმენტების გამოცვლა. ჩვენი პარტიული ორგანიზაცია ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ამ საპასუხისმგებლო მოვლენას. პარტიის 71 წევრი მზად არის დოკუმენტების გამოცვლისათვის.

დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადების პერიოდში ჩვენთან ბევრი კარგი ღონისძიება განხორციელდა, რის შედეგადაც გაძლიერდა კომუნისტთა პასუხისმგებლობა, მათი აქტივობა. კომუნისტები დ. ჯავახიშვილი და ე. გულუა თუ წინათ ნაკლებად აქტიურობდნენ, აცდენდნენ სამუშაოს, ახლა მოწინავენი არიან. ყოველდღიურად გამოდიან სამუშაოზე და რაზმავენ უპარტიო მუშებსაც დავალების მაღალ დონეზე შესასრულებლად.

გასულ წლებთან შედარებით ახლა გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა იგრძნობა ჩვენი მეურნეობის საქმიანობის ყოველ უბანზე. წელს სანიშნაოდ მოვემზადეთ ვაზის მყნობისა და ნერგის გამოყვანისათვის. ამ დღეებში დავიწყებთ მყნობას, სულ დაავ�ობთ 2.000.000 ძირ ვაზს. ნაკლებად გვემით გათვალისწინებული 40 პროცენტი — [illegible] იმისათვის, რომ მიღებულ [illegible] 45 პროცენტი პირველი ხარისხის ნამყენი. [illegible] ბ. [illegible] ა. ჯავახიშვილი კომუნისტები ამიან მათ დარაზმეს მშრომელები ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. კომუნისტები ა. ჭყოიძე, ი. ბრუნინოვი, გ. გიორგელაშვილი და ი. გოცირიძე სათავეში უდგანან მყნობელებს.

სასას ჰექტარ ვენახში ვაზის სხვლა დამთავრებულია, მიმდინარეობს რიგთაშორისების ხვნა, ვაზის ძირების დამუშავება, შრომის ავანგარდში არიან კომუნისტი მექანიზატორები ვ. ჯავახიშვილი და ე. ჭეკდლიშვილი.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა მომთხოვნელობა პარტიაში შესასვლელთან. ამ ცოტა ხნის წინათ კანდიდატად მივიღეთ ვენახის მუშა ნ. ჭყოიძე და მექანიზატორი ა. ელეკოვი. ამ დღეებში კანდიდატებად მივიღეთ კიდევ ორ მოწინავე ახალგაზრდას.

პარტიის მოწოდებით აღფრთოვანებული ჩვენი კომუნისტები ძალღონის დაუზოგავად იბრძმენენ ხუთწლედის გადამწყვეტი წლის ამოცანათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ი. ჯავახიშვილი,
თელავის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

გავაძლიერთ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა

საქართველოს კროფსაბჭოს მესუთე პლენუმი

ზეიმორთა საქართველოს პროფსაბჭოს მესუთე პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის შ. ი. მოსაშვილის მოხსენება — საკავშირო პროფსაბჭოს მესამე პლენუმის ადგილები და რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ.

უდიდესი და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ, — თქვა მომხსენებელმა. — საქართველოს მშრომელნი ფართოდ იხილავენ და სწავლობენ ამ მოხსენებას, ერთსულოვნად იწონებენ და მხურვალედ უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სანინაო და საგარეო პოლიტიკას.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დროს რესპუბლიკის საწარმოებში მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შრომითმა კოლექტივებმა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულეს პროდუქციის რეალიზაციის 1972 წლის გეგმა. ყურადღება ეთმობოდა მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტების ამოქმედებას, საცხოვრებელი ბინების მშენებლობას. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, მარცვლეულის, ხილის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, ხორცის, კვერცხისა და სხვა პროდუქციის მიყიდვის შესახებ. ცოტა მიღწევები რიდი მოიპოვეს ტრანსპორტის, მოსახურების სფეროს, მეცნიერებისა და კულტურის შეჯაგრმა.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მიღწევებისათვის რესპუბლიკის ბევრი საუკეთესო კოლექტივი დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო სპატაკიო ნიშნებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს საიუბილეო სპატაკიო სიგელებით.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის გაზრდილ ამოცანათა ფონზე შეაქვთ საქართველოს პროფკავშირებსაც. მათ გააძლიერეს მუშაობა სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივი ი ს ა და შემოქმედებითი აქტივობის გასაფთარებლად.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა პროფკავშირების აფხაზეთისა და აჭარის საბჭოების თავმჯდომარეებმა შ. მ. შარტავამ და მ. ბ. ეპიფანოვმა, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ტერიტორიული კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ნ. ჭამპაძემ, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ვ. კაპაძემ, საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ი. კარბარკომელმა, რკინიგზის მუშათა პროფკავშირის აბიერკაკავანის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. ბიბინაინიძემ აღნიშნეს, რომ მთელს რესპუბლიკაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა კოლექტივებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება 1973 წლის სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ყველა ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. შემუშავებული და მიღებულია სოციალისტური ვალდებულებანი, რათა ვადამდე შესასრულონ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები, შეამცირონ მშენებლობის ვადები, რაც შეიძლება სწრაფად აამოქმედონ და აითვისონ ახალი სიმძლავრენი.

სრულყოფთ წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, უფრო სრულად გამოვიყენოთ მოქმედი მოწყობილობა, უფრო ფართოდ დანერგოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები! ასეთი დევიზით მუშაობენ საქართველოს მშრომელნი და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ.

ვაიმალა სოციალისტური შეჯიბრება, რათა ყველგან დაიზოგოს ნედლეული, მასალები, ელექტროენერგია, სპობონი და ამ გზით გამოუშვან ზეგეგმითი ნაწარმი, აამაღლონ პროდუქციის ხარისხი და შეამცირონ მისი თვითღირებულება, მოიწიონ მაღალი მოსავალი და გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთლიანი მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები იბრძვიან, რათა ვადამდე შეასრულონ სოფლის მეურნეობის შეკვეთები, გაადიდონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, გააფართოონ ასორტიმენტი და აამაღლონ მათი ხარისხი.

საქართველოს პროფსაბჭომ მოიწონა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, ტყვარჩელის ქვანახშირის საწარმო ჭიათიანების, ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ამიერკავკასიის რკინიგზისა და სხვა კოლექტივების დიდმნიშვნელოვანთა ინიციატივა, რომელებმაც გამოძებნეს წარმოების რეზერვები და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, რათა ვადამდე შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი. საოლქო პროფსაბჭოები და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები ხელს უნდა უწყობდნენ ამ თაოსნობის ფართოდ გავრცელებას და მიაღწიონ იმას, რომ ყველა საწარმომ, ორგანიზაციამ, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, მუშების, ბრიგადების, უბნების, საამქროების, ფერმების, განყოფილებების სოციალისტურ ვალდებულებათა საფუძველზე იკისროს შემდეგი გეგმები, ჩაანან ამ გეგმების შემუშავებაში მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებათა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ორგანიზაციები და მშრომელთა შემოქმედებითი გაერთიანებანი.

პროფკავშირული ორგანიზაციებ ი ს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მოვალენი არიან გააანალიზონ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პრემიერების მოქმედი სისტემები, რათა პრემიების ოდენობა უფრო მეტად დაუქვემდებარონ შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, მატერიალურ-ენერგეტიკული რესურსების მიღებულ ეკონომიას. საჭირო ა გაძლიერდეს კონტროლი მატერიალური წახალისების ფონ დ ი ხ სწორად ხარჯვისათვის.

უნდა გაუმჯობ ე სდეს მუშაკთა შრომის პირობები, მშრომელთა დასვენებისა და ყოფა-ცხოვრების ორგანიზაცია, როგორც დიდმნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების გაზიდვას. მომსახურების სფეროში დასაქმებული საწარმოები და ორგანიზაციები უნდა მუშაობდნენ მშრომელებისათვის მოსახერხებელ დღეებსა და საათებში.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა ა. ვ. ხუროძემ ილაპარაკა სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების მუშაობაზე პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის რუსთავის სანლთსაშენებელი კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა შ. ბ. მოდებაძემ, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მადაროთსამმართველ ო ს მწენებავმა მუშამ ვ. ვ. ბოგატიშვილმა, თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატ „პირიმზეს“ მკერავმა მ. ს. ციმბარაშვილმა, რუსთავის ქიმიური კომბინატის ხინთუნის საამქროს უფროსმა მეპატარატემ შ. ა. ბერეაშვილმა, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. რ. მიქაბაძემ ილაპარაკეს თავიანთი კოლექტივების შრომითს წარმატებებსა და საჭიროებებზე.

მომსხენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გამოავლინეს სერიოზული ნაკლოვანებანი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში. კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები ჯერ კიდევ სრულად არ იყენებენ შეჯიბრებას მშრომელთა მობილიზაციისათვის სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესასრულებლად, არ ახორციელებენ ეფექტიან ღონისძიებებს, რათა განამტკიცონ შრომისა და საწარმოო დისციპლინა. ჯერ კიდევ დიდია წუნით, სამუშაოს გაცდენით, მოცდენით ჯამოწვეული დანაკარგები. იშლება ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისების ვადები.

ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია ნელა აღმოფხვრის სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში არსებულ ნაკლოვანებებს, არ უთმობს ჯეროვან ყურადღებას მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას. მთელ რიგ შემთხვევებში იღებენ შემცირებულ სოციალისტურ ვალდებულებებს არსებული რეზერვებისა და მოწინავეთა მიღწევების გაუთვალისწინებლად. შეჯიბრების შედეგები ხშირად ფორმალურად ჯამდება. არ აანალიზებენ გეგმებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზებს, არ იღებენ ზომებს, რათა დასმარება გაუწიონ ჩამორჩენილ კოლექტივებს, საკმაოდ ეფექტიანად არ იყენებენ მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმებს.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმმა აღნიშნა, რომ პროფკავშირების წინაშე მდგომი დიდი ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა საოლქო პროფსაბჭოებმა და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა კიდევ უფრო სრულყონ მუშაობის სტილი და მეთოდები, განამტკიცონ კავშირი მშრომელთა მასებთან, გააუმჯობესონ პირველადი ორგანიზაციებისა და პროფკავშირული ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობა, გააძლიერონ მუშაობა პროფკავშირული კადრებისა და აქტივის აღსაზრდელად დაკისრებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის, არსებული ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა. (საქინფორმი).



საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეიმოწმა მატერიალური რესურსებისა და დაუდგმელი მოწყობილობის აღწერის შედეგების სისწორე. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში აღწერამ ძირითადად ორგანიზებულად ჩაიარა და მატერიალური რესურსებისა და დაუდგმელი მოწყობილობის ნაშთები 1973 წლის 1 იანვრისათვის აღწერაში ასახულია სწორად.

ამასთან ერთად ყველა სამინისტრო, უწყება, საწარმო და ორგანიზაცია სათანადო სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით როდი მოეკიდა ამ საკითხზე მთავრობის დადგენილების შესრულებას. 726 საწარმო-ორგანიზაციიდან მატერიალური რესურსების აღწერის მასალა საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში წარმოადგინა 246-მა, ხოლო დაუდგმელი მოწყობილობის აღწერის მასალა 2.727-დან 572-მა, ამასთან დაგვიანებით.

რესპუბლიკის სამენ მასალათა მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კავშირგაბმულობის სამინისტროების, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთმა საწარმომ და ორგანიზაციამ რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში წარმოადგინეს უხარისხო მასალები.

უფრო მეტიც, ზოგიერთმა ორგანიზაციამ, საწარმომ და დაწესებულებამ ანგარიშებში დაამახინჯეს ადგილებზე არსებული ფაქტიური მდგომარეობა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში წარმოადგინეს შემცირებული მონაცემები მატერიალური რესურსებისა და მოწყობილობის შესახებ.

რესპუბლიკის 523 შემოწმებული საწარმოდან, მშენებლობიდან, საბჭოთა მეურნეობიდან და დაწესებულებიდან 118-ში დამახინჯებული იყო აღწერის მონაცემები, რის შედეგადაც აღურიცხავი დარჩა: 700 ტონა შავი ლითონების ნაგლინი, 46 ათასი კრძელი მეტრი ფოლადის მილები, 585,6 ტონა თუჯის მილები, 344,3 ათასი კრძელი მეტრი კაბელის ნაწარმი და სხვა მასალები, აგრეთვე 605,3 ათასი მანეთის დაუდგმელი მოწყობილობა.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მოეწყო მატერიალურ ფასეულობათა და დაუდგმელი მოწყობილობის აღწერა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებისა და საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთ საწარმოში.

მაგალითად, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხაზით — 95 შემოწმებული საბჭოთა მეურნეობიდან აღწერის მონაცემები შემცირებული იყო 32 საბჭოთა მეურნეობაში. მებოსტნეობა-მერძეურობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის 8 საბჭოთა მეურნეობას და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის 36 საბჭოთა მეურნეობას საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში აღწერის მონაცემები მიმდინარე წლის 25 იანვრისთვისაც კი არ წარუდგენია.

მშენებლობის სამინისტროს ხაზით — 41 შემოწმებული საწარმოდან 18 საწარმოში არ იყო ნაჩვენები ისეთი მატერიალური ფასეულობანი, როგორიცაა შავი ლითონების ნაგლინი, ლითონის ნაწარმი, კაბელის ნაწარმი, სამასალე მერქანი და სხვ. ამავე სამინისტროს „მშენინდუსტრიის“ ტრესტის № 1 რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანაში აღწერაში ნაჩვენები არ ყოფილა 313 ტონა ცემენტი.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 22 შემოწმებული საწარმოდან 11 საწარმოში ნაჩვენები არ ყოფილა 219 ტონა შავი ლითონის ნაგლინი, 2,8 ათასი გრძივი მეტრი ფოლადის მილები, 14,7 ტონა თუჯის მილები, 4,4 ტონა ფერადი ლითონები და სხვ., აგრეთვე 10,7 ათასი მანეთის (6 ერთეული) დაუდგმელი მოწყობილობა.

ამ სამინისტროს თბილისის ლითონკონსტრუქციათა ქარხანაში აღწერაში არ იყო ნაჩვენები 177,5 ტონა შავი ლითონის ნაგლინი. გარდა ამისა, ამ სამინისტროს 5 საწარმომ (თბილისის გაერთიანება „სოლანი“, ლენტეხის, ყაზბეგის, წულუკიძის რაიმრეწკომბინატები და ქსნის საშენ მასალათა კომბინატი) მიმდინარე წლის 30 იანვრისთვისაც კი არ წარადგინეს რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში აღწერის მასალები.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით — 9 შემოწმებული საწარმოდან 5 საწარმოში აღწერის მონაცემები შემცირებული იყო: შავი ლითონების ნაგლინი — 24,3 ტონით, ცემენტი — 119 ტონით და სხვ., ხოლო ამ სამინისტროს 5 სამმართველოს (ახმეტის, თელავის, თერჯოლის, ცაგერისა და ჩხოროწყუს) საერთოდ არ წარმოუდგენიათ აღწერის მონაცემები.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „წყალმშენის“ ტრესტმა აღწერაში არ შეტანია 380 ტონა თუჯის მილები, სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს რუსთავის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანამ 32 ტონა ნახმარი რელსი, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანმა“ და გორის ბამბეულის კომბინატმა — 268,9 ათასი მანეთის 136 ერთეული დაუდგმელი მოწყობილობა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანამ — ფერადი ლითონების ნაგლინი და სხვ.

მატერიალური რესურსების შესახებ შემცირებული მოხაცემები წარადგინეს აგრეთვე სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს, საავტომობილო ტრანსპორ ტ ი ს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოებში არადამაკმაყოფილებლად ინახავენ სასაქონლო-მატერიალ უ რ ფასეულობებს.

ზოგიერთ საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინახება მატერიალური რესურსები და დაუდგმელი მოწყობილობა, რომელიც ამ ორგანიზაციას არ სჭირდება, რის შედეგადაც გამოუყენებელი რჩება მნიშვნელოვანი სახელმწიფო სახსრები.

მაგალითად, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ინახებოდა წარმოებისათვის გამოუსადეგარი 43,1 ათასი მანეთის მოწყობილობა, სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს რუსთავის ფოლადსამსხმელო ქარხანაში — 45 ათასი მანეთის, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში — 75 ათასი მანეთის, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებში — 62,3 ათასი მანეთის მოწყობილობა.

ეს ნაკლოვანებანი, სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მხრივ არასაკმარის ხელმძღვანელობას თ ა ნ ერთად, იმანაც განაპირობა, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების

ბ ა ნ ნ ი ს რაიონის ჯანდაცვის მეცხოველეობის სანაშენო საბჭოთა მეურნეობის ფარაში 41 ათასი ცხვარია. ამჟამად ცხვრის სულადობა ყოველდღიურად იზრდება — მიმდინარეობს დოლი. ს ურ ა თ ს ზ ე: საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ს. უზუნაშვილი (მარცხნივ) და მეცხვარეთა ბრიგადირი ა. ბაირამოვი ახალშობილ ბატკნებთან.
ი. დავითაშვილისა და ს. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წესრიგი უნდა დამყარდეს!

მატერიალური რესურსებისა და დაუდგმელი მოწყობილობის აღწერის შემოწმების შედეგების შესახებ

ორგანოების ნაგლინი, ლითონის ნაწარმი, კაბელის ნაწარმი, სამასალე მერქანი და სხვ. ამავე სამინისტროს „მშენინდუსტ რ ი ი ს“ ტრესტის № 1 რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანაში აღწერაში ნაჩვენები არ ყოფილა 313 ტონა ცემენტი.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 22 შემოწმებული საწარმოდან 11 საწარმოში ნაჩვენები არ ყოფილა 219 ტონა შავი ლითონის ნაგლინი, 2,8 ათასი გრძივი მეტრი ფოლადის მილები, 14,7 ტონა თუჯის მილები, 4,4 ტონა ფერადი ლითონები და სხვ., აგრეთვე 10,7 ათასი მანეთის (6 ერთეული) დაუდგმელი მოწყობილობა.

ამ სამინისტროს თბილისის ლითონკონსტრუქციათა ქარხანაში აღწერაში არ იყო ნაჩვენები 177,5 ტონა შავი ლითონის ნაგლინი. გარდა ამისა, ამ სამინისტროს 5 საწარმომ (თბილისის გაერთიანება „სოლანი“, ლენტეხის, ყაზბეგის, წულუკიძის რაიმრეწკომბინატები და ქსნის საშენ მასალათა კომბინატი) მიმდინარე წლის 30 იანვრისთვისა

„ეკონომიკისა და სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის საკითხთა ინსტიტუტის“ შემსწავლელთა დასახმარებლად

ინტენსიფიკაცია მთავარი მიმართულებაა

წერილი მეექვსე

მიმდინარე ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით 20-22 პროცენტით გადიდდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო-წლიური მოცულობა, უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილება კვების პროდუქტებზე, მრეწველობისა — ნედლეულზე. ამ ამოცანის შესრულების გადამწყვეტი პირობაა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, მისი ინტენსიფიკაციის კურსის თანმიმდევრული განხორციელება. ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულებაა.

ამ წერილში განხილული იქნება ხუთი ძირითადი საკითხი: სკკპ XXIV ყრილობა სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების ინტენსიფიკაციის ბაზის შესახებ; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მთავარი ფაქტორია; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ძირითადი მიმართულებანი.

სკკპ XXIV ყრილობა სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების აუცილებლობისა და გზების შესახებ. საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში ბოლოდროინდელ ეტაპის მთავარი თავისებურებანი ის არის, რომ მისი მეურნეობა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა უფრო მაღალ დონეზე ავიდა. კომუნისტური შენებლობა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება იმ პირობებში, როცა მსოფლიოში ფართოვდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ახლა მსოფლიოში ყოველდღიურად ფართოვდება. ამ ფაქტორთა ზეგავლენა ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ადამიანთა ცხოვრებაზე ძალიან ძლიერია. ეს ფაქტორები ეფექტიანობის ამაღლებას, ადამიანთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, ადამიანთა ცხოვრებისა და ბედნიერების ინტერესებს ემსახურებიან. ეს ფაქტორები ეხმარებიან ადამიანებს, ეხმარებიან ადამიანებს, ეხმარებიან ადამიანებს,

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ

ᲐᲚᲘᲡᲔᲒ ᲮᲠᲘᲝᲙᲝ, ᲨᲔᲛᲙᲕᲓᲐᲠᲔᲑᲣᲚᲛ,
ᲐᲮᲚᲐ ᲮᲐᲚᲘᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘ,
ᲪᲮᲐᲚᲘᲡᲐᲜ ᲛᲧᲕᲐᲜᲔ ᲙᲔᲕᲠᲘ ᲒᲔᲑᲣᲠᲛᲣ,
ᲜᲘᲓᲛᲣ ᲜᲘᲐᲛᲘᲐ ᲧᲣᲐᲕᲘᲚᲗ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲘ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ

ᲒᲐᲠᲑᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ დიდმა ქართველმა პოეტმა, ჩვენმა დაუვიწყარმა გიორგი ლეონიძემ „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა წერილი სათაურით „დავწეროთ „ქართული ტყე“. ამ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ „რუსეთის მწერლობამ ღიდი ხანია მიახედა თავის ბუნებას და დიდ ბრძოლასაც აწარმოებს მის დასაცავად. პრესაში მოთავსებული აუარებელი კოლექტიური წერილების, შეკითხვების გარდა სამინისტროებისადმი, რამაც ბევრი შესძინა, კერძოდ, ტყის დაცვას, უნდა აღინიშნოს ლეონიდ ლეონოვის უსარძაზარი რომანი „რუსული ტყე“, რომელშიც ტყის მტკივნეული საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით არის დასმული და რომელმაც გაამრავლა ტყის მეგობართა რაზმები მთელ საბჭოთა კავშირში“. შემდეგ ავტორი მოუწოდებდა ქართველ თანამოკალმეებს, ჩვენც ასე მოვიქცეთო, დაუკავშირდეთ სათანადო უწყებებსა და სამინისტროებს, ავტეხოთ განგაში ყოველი უკანონოდ გაკაფული ჰექტარის გამო, დავწეროთ „ქართული ტყე“. რომელმაც დიდსა და პატარასაც უნდა აგრძნობინოს და თვალნათლივ დაანახვოს, თუ რადენ დიდი ეროვნული საგანძურია, რა ფასდაუდებელი საუნჯეა საქართველოს ტყე, როგორ უნდა მოეკოროთ მას, როგორ დავიცვათ, და არა მარტო გადავარჩინოთ, არამედ უფრო გავზარდოთ და გავალაღოთ.

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲛᲐ კარგმა გაზაფხულმა კიდევ ერთი სახსოვარული ამბავი მოიყოლა თან: პარტიამ და მთავრობამ მთელი სიმძაფრით დააყენეს ჩვენი ხალხის წინაშე უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამოცანა — აღდგენა იმ მწვანე ლანდშაფტისა, ოდესღაც გარს რომ ერტყა საქართველოს დედაქალაქს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად არ იკმარებს მწვანე ზოლი 56.700 ჰექტარ ფართობზე, როგორც ადრე იყო ნაგარაუდევი და დაგეგმილი. ახლა დასახული ამოცანა, რათა ტყის მწვანე სარტყელმა დედაქალაქის გარშემო მოიცვას 319.638 ჰექტარი მიწა და ამ ზოლში უნდა მოექცეს თბილისის გარეუბნის, მარნეულის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, კასპის, მცხეთის, თიანეთის, დუშეთის, საგარეჯოს რაიონები.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახლა თვითონ მთელი ხალხი თავისი ხელით, თავისსავე მიწაზე წერს ღიმნს და უმშვენიერეს მწვანე წიგნს, და ყველა ჩვენგანის მოვალეობაა — იქნება ის შუშა თუ კოლმეურნე, მოსწავლე თუ სტუდენტი, ინჟინერი თუ მასწავლებელი, — ამ დიდ ეპოპეას თითო მწვანე სტრიქონი მიუმატოს. ვინც ყველაზე მარჯვეა, ბეჯითი და მოწინავე, ცხადია, ის ყველაზე მეტს დაწერს, მაგრამ ამ პატრიოტულ საქმეს ყველას უნდა დასახაროს ხელიც, გულიც და გონებაც. საბჭოთა ცხოვრების ეთიკური ნორმები მოითხოვენ ვიყოთ არა მარტო მომხმარებელნი, არამედ, პირველ რიგში, მწარმოებელნი, დამცველნი, აღმდგენელნი, მშენებელნი.

აქ სიტყვის გაგრძელება არ არის საჭირო იმის თაობაზე, თუ რა არის ტყე ქვეყნისათვის. ეს ყოფნა-არყოფნის საკითხია. ერთი გამოჩენილი მოაზროვნე წერდა, რომ ასურეთისა და ბაბილონის უძლიერესი სახელმწიფოები დაამხეს და მათი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს არა მიდიის მეფის კიაქსარის და სპარსეთის მეფის კიროსის ჯარებმა, არამედ თსამ, რომელმაც მთელი ტყეები გადაკოდრტანო. და თუმცა საკაოლო სახელმძღვანელოებში ასე არა სწერია, მაგრამ ეს მაინც ბაროდენში არ არის. ტყე ქვეყნის სიცოცხლეა არის, ღონეც, მოსავალიც, ჯანმრთელობაც, სილამაზეც, აწმყოც და ზმასავალიც... ვისაც ყველაზე მეტი ტყე აქვს, ყველაზე მდიდარიც ის არის, მისი ბელელიეა და მარანიც ყველაზე უფრო განიერია და ბარაქით სავსე.

საქართველოში 2,2 მილიონი ჰექტარი სახელმწიფო და 600 ათასი ჰექტარი საკოლმეურნეო ტყეა. მას რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის 36,7 პროცენტი უჭირავს. ამას ყოველწლიურად ემატება ახალი და ახალი ფართობები ეროზირებული მიწების გატყიანებისა თუ მინდორსაცავი ზოლების გაშენების გზით, რასაც წარმატებით უძღვება სახელმწიფო სატყეო კომიტეტი. ყველაფერი ეს ცოტა არ არის, თუ გავიხსენებთ, რომ მთელ საბჭოთა კავშირში ტყით დაფარული ფართობი, საერთო ტერიტორიასთან შედარებით, მოიცავს დაახლოებით 30 პროცენტს, ხოლო ევროპულ მომძე რესპუბლიკებში ეს პროცენტი გაციცლებით მცირეა. ასე, მაგალითად, სომხეთში იგი 13 პროცენტს შეადგენს, ლიტვაში — 16 პროცენტს. რსფსრ რესპუბლიკის ევროპული ნაწილის ჩრდილეთ რაიონებში ტყეებს უჭირავთ ტერიტორიის 60-70 პროცენტი, იმ დრის, როცა სამხრეთ რაიონებში ტყეიანობა, 1 პროცენტი და უფრო ნაკლებია. გამოდის, რომ ჩვენ ტყით მდიდრები ვართ, და მაინც, აკად. ნიკო კეცხოველი, ჩვენი ბუნების დიდი მცოდნე და მოამაგე, საქართველოს უტყეო ქვეყანას უწოდებს (ტყის პირდაპირი გამოყენების თვალსაზრისით). საქმე ის არის, რომ ჩვენი ტყეები, მნიშვნელოვანწილად (90 პროცენტზე მეტი) მთის მიუვალმა ფერდობებმა გადაარჩინეს. ბარში კი ასე არ არის საქმე.

ადრე კოლხეთის დაბლობისა და ივერიის ველების ფერდობებზე ვეება ტყეები იყო გადაჭიმული. ალაზნის ველზე (მარჯვენა მხარეს), თვით ჩემს მახსოვრობაშიც კი, ისეთი ულრანი ჭალები იყო, მარტო მე კი არა, გამოცდილ და ხანში შესულ გლეხკაცებსაც ექცეოდათ ხოლმე მხარი, ხარსა და ურემს ას ნაბიჯზე რომ დასცილდებოდნენ. მზიანი შუადღეც კი აქ მწვანედ იყო ჩაბნელებული, სხივი მიწაზე ვერ ატანდა და გაბმულ ღეჭიანებში ჩიტს უჭირდა გადფრენა. ახლა ასეთი ტყეები მარტო ფენიმორ კუპერის წიგნებშიღა თუ შეგხვდება, მარტო ჩვენში კი არა, საერთოდ. აწ უკვე გამქრალ სხვა ტყეებს აღარ გავიხსენებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ წარსულმა ამ მხრივ მეტად ცუდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

რევოლუციის შემდეგ ტყის დაცვა, მოვლა, გაშენება დიდ სახელმწიფოებრივ და სახალხო საქმედ იქცა. საბჭოთა მთავრობა ამაზე აუარებელ სახსრებს ხარჯავს, ტყეს ზრუნვითა და რეფუნებით დასტრიალებს თავს ხალხიცა და სახელმწიფოც. წინათ კი რა ვითარება იყო? ხანდახან ეს თუ ის ქართველი მწერალი ან პუბლიცისტი თუ აიმაღლებდა ხმას ტყის დასაცავად „ივერიის“ ან „დროების“ ფურცლებზე, მაგრამ ოფიციალური წრეები მათს გულისტკივილს აინუნშიც არ იგდებდნენ. ვინმე თუ კარძო თაოსნობას ვამოიჩენდა, ტყეს მიხედავდა, ეს ამბავთაზე ამბავთა შემთხვევა იყო.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲬᲘᲗᲕᲔᲚᲝᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲙᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲙᲐᲚᲪᲘᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲣᲤᲐᲠᲛᲐᲮᲐᲠᲝ ᲮᲔᲝᲕᲐᲜᲘ ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲠ-ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ. როგორ გაჩნდა იგი? იყო ერთი, ცოტა არ იყოს, ახირებული, მაგრამ ჭკვიანი კაცი, ვგულისხმობ, თუ არ მიწლება, ჯაჩნაძე, რომელსაც მაზრის უფროსის მოადგილის პოსტი ეჭირა. მან აქ ულანური წესი შემოიღო, რომელსაც, ალბათ, მსოფლიო იურისპრუდენციისა და კანონმდებლობის ისტორიაში პრეცედენტად ვერც მოუძებნით. წესრიგდება ქურდ-ბაიაკებს, ვთქვათ, ქუთაისს ან ბოქს რომ მოიპარავდნენ, ის მიუსჯიდა არა ხუთი თვის პატიმრობას, არამედ ხუთი ძირი კაკლისის დარგვას ამ გრძელ გზაზე, ოღონდ იმ პირობით, რომ არა მარტო დაერგო და გაეხარებინა, არამედ გაეზარდა კიდევ, ე. ი. თვალი ედევნებინა, ვიდრე უმეწო ნერგი ღონიერი ბაღილო გასდებოდა. ცხვრისა და თხის ქურდს ხუთს როდისა აკმარებდა, ხუთიმეტსა თუ ოც კაკლისეს მიუსჯიდა და ა. შ. ეს „კანონი“, ცხადია, ყაჩაღებსა და თავდასხმელებს არ ეხებოდა, მათი საქმე სასამართლოს გადაეცემოდა. წარილფიეს ქურდ-ბაიაკებს კი ეს მშვენიერი ხეიანობა გააშენებინა. და მერე როდის? იმ დროს, როცა ახი ათასი ყაჩაღი — შინაური თუ უცხოელი ვაჭარი და მრეწველი შეიკრიბა იყო საქართველოს ტყეებს, და უწყალოდ აპარტაცებდა მათ. ძირს ეცემოდნენ ულრანი მუხნარები და ნაძვნარები, ცაში აშოოტლიენ თელები და წიფლები. მიდიოდა უწყალო შემუსვრა ქვეყნის ამ მარადიული მწვანე მეგობრისა.

ახლა ვიკითხოთ, ვინ ავალებდა იმ ახირებულ კაცს ტყე გაეშენებინა. მეფის მოხელეებს, იღია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, ფეხებზეც არ ეკიდათ, მარტო ტყე კი არა, მთელი ქვეყანაც წყალს რომ წაეღო. მაგ მარტო ერთი დამთვალებელი და მბრძანებელი ჰყოლია იმ დროს, როცა სამხრეთ რაიონებში ერთ-ერთ ულანია ბუნების დაცვის ვეებერთელა ფრონტისა. ანსებობს ცნება — მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. ამ კი ბოლო მატერიალური კი არა, მორალური პასუხისმგებლობაც არის. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მთელი ქართველი ხალხის წინაშე, საქართველოს აწმყოსა და მომავლის წინაშე და ვალდებულნი ვართ ფიჩენდეთ მზრუნველობას ყველა უბანზე, იქნება ეს წყალსაცავების დაცვა თუ ნადირ-ფრინველის მოშრავლება. ტყეების გადარჩენა თუ კაკლის ხეივნების გაშენება ზეზის გასწვრივ; ნურავინ იფიქრებს, თითქოს ბუნების სიმდიდრეთა დაცვა მარტო ნადირობის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსპექტორების, სანადირო მეურნეობათა ეფექტორების, სახელმწიფო ნაკრძალების ფარაონთა საქმე იყოს. არა, ეს ყველას საქმეა, ყველას უნდა შეესრულოდეს გული, ვისაც თავისი ხალხი და თავისი ქვეყანა უყვარს.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ პირველი ფიქრიც უფრო მეტად ეძალება კაცს, მით უფრო, რომ წელიწადიდან გაზაფხული იწყებს საშვილმშვილო საქმეს — თბილისის ირგვლივ მწვანე სარტყლის ქარგვას და მოგვირისტებას. ეს ისტორიული მნიშვნელობის ამოცანაა და ამისათვის ღირს ჩვენ ყველამ ერთი ასალი პროფესიაც შეგიძინოთ — გავხდეთ მოხალისე მეტყეველები, რათა უფრო მეტად შემკული, უფრო ლამაზი გახდეს ჩვენი მშვენიერი საქართველო.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲐᲖᲘᲤᲮᲣᲚᲘ

□ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲖᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲣᲨᲕᲘᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ

□ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲗ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔ ᲛᲔᲢᲧᲔᲕᲔᲑᲘ!

ᲛᲐᲚᲚᲔ ᲨᲝᲨᲘᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲤᲠᲘᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲜᲝᲠᲩᲘ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲤᲝᲢᲝᲡᲐᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲘᲗᲠᲐᲓ. Ხ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

„ᲭᲘᲜᲭᲠᲐᲥᲐᲡ“ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა გ. ნახუცრიშვილის პიესა „ჭინჭრაქა“.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. ბაქსაშვილმა, მხატვრობა ეკუთვნის რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს ი. ხუროშვილს, მუსიკალური მონტაჟი — ი. არაყიშვილს, ქორეოგრაფია ნ. გაგოიძე, როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ჩელთისპირელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები პ. ახვლედიანი, ბ. ჯავახია, მსახიობები თ. ხუნაშვილი, ჟ. ბაბილაშვილი, ვ. მუმლაური, ვ. ფეიქრიშვილი, ა. მახარაშვილი, თ. მაისურაძე, რ. ბუჭყურაშვილი გ. მანველოვი და სხვები.

ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მწერალთა კავშირის კლუბში მოეწყო არო ონელის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

პოეტის შემოქმედებისა და ცხოვრების შესახებ შესავალი სიტყვა წარმოთქვა მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის მეთაურ ბორ. ბერეტელიამ.

ᲐᲠᲜᲝ ᲝᲜᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ შემოქმედების შესახებ მოახსენა გაგაკეთა რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ს. სხირტლაძემ.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ და ლექსები წაიკითხეს პოეტებმა გ. კაჭახიძემ, ვ. გორგანელმა, შ. ამისულაშვილმა, გ. წერეთელმა, ალ. შანთაძემ. პოეტს მიესალმნენ საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი ო. ჯაფარიძე, აკადემიკოსი ა. ბოჭორიშვილი, პროფესორი ს. ხუციშვილი, მწერლები მ. ბოლქვაძე, ლ. ჭიჭინაძე, ქ. ჭელაშვილი, გამომცემლობა „განათლების“ ლიტერატურის გაყოფილების გამგე ალ. გაბუსკირია და „ნაკადულის“ მთავარი რედაქტორი ნ. კალანდარიშვილი.

დასასრულ გამოვიდა პოეტი ა. ონელი და წაიკითხა რამდენიმე ლექსი. ბოლოს მოსწავლეთა მონაწილეობით ყაიმართა კონცერტი.

Ლ. ᲙᲝᲗᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲛᲝᲘᲒᲔᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). საქსნტექმონტაჟის მუშამ ს. ალუსკეროვმა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1973 წლის პირველი გამოშვების ლატარიის ბილეთთან, რომელს სერიაა 38145, ნომერი 018, მოიგო ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

ᲑᲝᲓᲐᲜᲘᲜᲝᲕᲙᲐ. (საკ. კორ.). სოფელ პატარა ბონდრის კინომექანიკოს კ. ნაზარიანის საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების გასული წლის მეთორმეტე გამოშვების ლატარიის ბილეთს, რომლის ნომერია 252, სერია 36346, წილად ხვდა მუთუჩი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲐᲨ გიორგი მიხეილის-ძე ოლეიაშვილმა საქართველოს ფულისა და ნივთების ლატარიის 1972 წლის მეათე ტირაჟში 28881 სერიის 037 ბილეთთან, მოიგო ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ“ № 2

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘᲚᲐ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეორე ნომერი.

ᲛᲐᲠᲢᲘ ᲠᲝᲛ ᲬᲘᲜ ᲒᲔᲓᲝᲡ...

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ თებერვალზე აუგი არ გვეთქმის. დიდი ყინვებითა და თოვლიანობით არ შევუწუხებივართ. დადგა გაზაფხული — სანი ბუნების გამოცოცხლებისა და გაფურჩქნისა. გაზაფხულის პირველი თვე, მარტი, ცნობილია თავისი ჭირვეულობითა და ცვალებადობით. ვინ მოსთვლის, მასზე რამდენი ანდაზა და ხალხური გამოთქმა არსებობს. ყველაზე კარგად კაცს მარტი ასე დაუხასიათებია — „მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქედ და ნურც აძაგებო“, ან კიდევ — „მარტი პატარძალია — დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოიღებაო“.

წლევანდელი მარტი შედარებით გრილი იქნება. დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, ჭიკრის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 6-7 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში კი 2-5 გრადუსის ფარგლებში, რაც მრავალწლიურ ნორმაზე დაბალია ერთიერთნახევარი გრადუსით. ჭიკრის ყველაზე დაბალი ტემპერატურა მოსალოდნელია მეექვსე ხუთდღიურში: დაბლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო; დღისით 3-8 გრადუსი სითბო. მთაში ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით ნული-5 გრადუსი სითბო. ჭიკრის ყველაზე მაღალი ტემპერატურა იქნება მეხუთე ხუთდღიურში: დაბლობ რაიონებში ღამით 7-12 გრადუსი სითბო, დღისით 21-26 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1-6, დღისით 16-21 გრადუსი სითბო.

ნალექების თვიური ჯამი მოსალოდნელია ნორმაზე მეტი. პირველ და მეორე დეკადაში, აგრეთვე მესამე დეკადის შუა ნაწილში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი (26 და 29 მარტს უმეტესად სველი თოვლის სახით), თვის დანარჩენ დროს — უმეტესად მცირე ღრუბლიანი და შშრალი ამინდი.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ — ჭიკრის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 3-7 გრადუსი სითბო, მთიან და მაღალმთიან რაიონებში 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბოს ფარგლებში, რაც შეესაბამება მრავალწლიურ ნორმას.

ყველაზე დაბალი ტემპერატურა მოსალოდნელია მეექვსე ხუთდღიურში — ჭიკრის ვაკის დასავლეთ რაიონებში ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით — 2-7 გრადუსი სითბო, აღმოსავლეთ რაიონებში ღამით ნული-5 გრადუსი ყინვა, დღისით — 4-9 გრადუსი სითბო: ბარე და შიდა კახეთში — ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით ნული-5 გრადუსი სითბო. ყველაზე მაღალი ტემპერატურა მოსალოდნელია მეხუთე ხუთდღიურში: ჭიკრის ვაკის დასავლეთ რაიონებში ღამით 1-6, დღისით 15-20 გრადუსი სითბო; აღმოსავლეთ რაიონებში — ღამით 3-8, დღისით 18-23 გრადუსი სითბო, ბარე და შიდა კახეთში ღამით 2-7, დღისით 16-21 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით ნული-5, დღისით 13-18 გრადუსი სითბო; მაღალმთიან რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა-1 გრადუსი სითბო, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

1-4, 14-16 და 22-25 მარტს მოსალოდნელია უმეტესად მცირეღრუბლიანი და მშრალი ამინდი: თვის დანარჩენ დროს — ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი.

ᲐᲕᲘᲜᲓᲘ

Ვ. ᲒᲝᲒᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲔᲗᲘᲡ „დიდ ყინულზე“ გამორნდა მსოფლიოს უძლიერეს მოციგურაგეთა პირველი „ავტოგრაფები“ — ასპარეზობა გასწყვეს ქალებმა და ზეწყვილებმა.

სამი საგალდებულო ფიგურის შესრულების შემდეგ ერთეულთა ტურნირში დაწინაურდა კანადელი კარენ მაგნუსენი — 120,10 ქულა (ადგილების ჯამი — 10).

შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, ამერიკელი ჯანეტ ლინი ჯერჯერობით მეორე ადგილზეა — 116,50 (19). მომდევნო ადგილებზე არიან შვეიცარიელი კარინ იტენი — 114,30 (29), ინგლისელი ჯინ სკოტი — 112,00 (38), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი კრისტინა ვრატი — 109,40 (49,5), ჰოლანდიელი დიანა დე ლეუვი — 105,10 (65).

ნორჩ საბჭოთა მოციგურავე მარინე სანაიას მსაჯებმა 84,90 ქულა (ადგილების ჯამი — 206) დაუწერეს. ეს ჯერჯერობით 23-ე ადგილია.

წყვილთა შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაწინაურდნენ საბჭოთა „დუეტები“ ირინა როდნინა და ალექსანდრე სოლოვიევი — 105,90 ქულა (ადგილების ჯამი — 9) და ლიუდმილა სმირნოვა — ალექსი ულანოვი — 103,30 (18), ირინა ჩერნიაევა და ვასილ ბლაგოვი მეხუთე ადგილზე არიან — 98,80 (50,5).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყვილებს — მანუელა გროსსა და უვე კეგელმანს (101,10 ქულა, ადგილების ჯამი 33,5) და რომი კერმერ-როლფ ეტერრიხს (99,80 და 42,5), შესაბამისად, მესამე და მეოთხე ადგილი უჭირავთ.

ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲐᲙᲝ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ. 6 ტურის შემდეგ საერთაშორისო ტურნირის ლიდერობას კვლავ მსოფლიოს ეგს-ჩემპიონი ტალი ინარჩუნებს. მეექვსე ტურში იგი ყაიმზე შეთანხმდა გროსმაისტერ პოლუგაევსკის და ახლა 5 ქულა აქვს. მსოფლიოს ეგს-ჩემპიონმა სპასკიმ მოუგო ოსტატ რიტოვს, საერთაშორისო ოსტატმა ნეიმ—საერთაშორისო ოსტატ ტიმანს (პოლანდია), ყაიმზე შეთანხმდნენ გროსმაისტერები კერესი და ბრონშტეინი. ტალს კვალდაკვალ მისდევს 4 მონაწილე: ოთხ-ოთხი ქულა აქვთ მსოფლიოს ეგს-ჩემპიონ სპასკის, გროსმაისტერებს—კერესს, პოლუგაევსკის და საერთაშორისო ოსტატ ნეის.

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲗᲘ. უნგრეთის დედაქალაქის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი დასასრულს უახლოვდება. 12 ტურის შემდეგ პირველ ადგილს მტკიცედ ინარჩუნებს გროსმაისტერი გელერი, რომელსაც 9 ქულა აქვს. 7 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს გროსმაისტერ ვაჰანიანს. ტურნირის დამთავრებამდე 3 ტური რჩება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ თასის გათამაშება ჭადრაკში დასასრულს უახლოვდება. ქალთა შორის ნახევარფინალში გავიდნენ თბილისის თასის მფლობელი ჩიბურდანიძე, ოსტატობის კანდიდატები წერეთელი, კოროშინაძე და გამოცდილი პირველობანრიგოსანი ბელოზიოროვა. ამას გარდა, მეოთხედფინალში დამარცხებულ მოკადრაკეთა შორის მიმდინარეობს დამატებითი შეჯიბრება საკავშირო თასის კიდევ ერთი საგზურისათვის — საკავშირო ასპარეზობაში ხომ საქართველოს 5 წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. ეს ტურნირი ოდესაში გაიმართება. ვაჟთა შორის ბრძოლას განაგრძობენ ოსტატები ბოკუჩავა, ბერაძე, ბუსლაევი და ოსტატობის კანდიდატი ტუზოვსკი. საკავშირო თასის გათამაშება ვაჟთა შორის თბილისში ჩატარდება.

ᲓᲘᲓᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ხმორკომიტეტის კოლეგიის მორიგი სხდომა. კოლეგიამ სხვა საკითხების განხილვასთან ერთად დაამტკიცა უმაღლესი ლიგის ფეხბურთის გუნდების მთავარი მწვრთნელები: ო. ბაზილევიჩი — დონეცკის „მეტალურგი“, ვ. ბლინოვი — ვოროშილოვგრადის „ზარია“, ვ. ბუბუკინი — ლვოვის „კარპატი“, ნ. ვეფლაევი — მოსკოვის „სპარტაკი“, გ. ზონინი — ლენინგრადის „ზენიტი“, გ. კაზანელინი — მოსკოვის „დინამო“, ა. კოტრიკაძე — თბილისის „დინამო“, ვ. ლობანოვსკი — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, ნ. სიმონიანი — ერევნის „არარატი“, ვ. სოლოვიოვი — ტაშკენტის „პახტაკორი“ და ბ. იაკოვლევი — როსტოვის სკა.

ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. აშხაბადში მიმდინარე ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზე სსრ კავშირის ნაკრებმა ფრედ — 0:0 ითამაშა თურქმენეთის გუნდთან. რუმინეთის ნაკრებმა დაამარცხა შვეიცის ფეხბურთელები — 2:0.

● ᲰᲝᲚᲑᲣᲠᲗᲘ. ცსკა-ს ვაჟთა გუნდმა წარმატებით განვლო ჩემპიონატის პირველი წრე. ბოლო ტურში მან ანგარიშით 32:25 დაამარცხა ტაშკენტის სკიფ-ი და 12 ქულით ლიდერობს გათამაშებას. მეორე ადგილზეა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი (10 ქულა). ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყება 16 მარტს კიევში.

● ᲙᲐᲠᲘᲑᲘ. მინსკში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ბელორუსიის დედაქალაქის სპორტის სასახლის პრიზზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ბირმის, უნგრეთის, ეთიოპიის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები. მასპინძლებმა გამარჯვება მოიპოვეს ყველა წონითს კატეგორიაში.

ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲡᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲡ — ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, ცხენისწყლის პირად ბოროტმოქმედებმა ბედიმ, გაგუამ და მათმა თანამონაწილეებმა ვერაგულად მოკლეს ახალგაზრდა ზუგდიდელი ჭაბუკი, სტუდენტი რ. ჭურღულია.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მკვლელებს ა. მ. ბედიის და გ. ა. გაგუას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა.

საკადრისი სასჯელი მიუზღოთ მკვლელთა სხვა თანამონაწილეებს.

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა უარყო აღნიშნულ მსჯავრდადებულთა შეამდგომლობა პატიების შესახებ.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

Ჯ. ᲡᲮᲕᲐᲕᲔᲚᲘ.

რედაქტორი
 Დ. ᲛᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲝᲚᲝᲢᲝᲕᲛᲐ... ᲑᲣᲠᲗᲘ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 28 თებერვალი. (საკადრისი კორ.). კიევის დინამოელები, რომლებიც ემზადებიან ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ესპანეთის „რეალთან“ მატჩებისათვის (7 მარტს — ოდესაში და 21 მარტს — მადრიდში), შეხვდნენ ბელგიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „ანდერლეხტს“ და დამარცხდნენ — 0:1.

25 ათასი მაყურებელი დაესწრო ამ საინტერესო შეხვედრ